**სს „ჰუალინგის საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონა“ აცხადებს ტენდერს ქალაქ ქუთაისში ქარხნის ლითონის კონსტრუქციის და რკინა-ბეტონის სადემონტაჟო სამუშაოებზე(რკინის კონსტრუქციის დაზიანების მიყენების გარეშე, შემდგომი გამოყენებისათვის)**

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელდება შემდეგ მისამართზე: **ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. N88.**

**სატენდერო განცხადებას დანართების სახით ერთვის:**

- სადემონტაჟო ნაგებობის ამსახველი ფოტომასალა;

**ტენდერის ფარგლები, შინაარსი და მოთხოვნები**

**შინაარსი:**

- სამუშაოების განხოციელების ფარგლებში გათვალისწინებული ლითონის კონსტრუქციის ქარხნის სადემონტაჟო სამუშაოები (დაზიანების მიყენების გარეშე, შემდგომი გამოყენებისათვის), დემონტირებული მასალის ადგილზე დაშტაბელება, რკინა-ბეტონის კონსტრუქციაში არმატურის და ბეტონის განცალკევება, არმატურის დასაწყობება ტერიტორიაზე ხოლო ბეტონის გატანა-ტრანსპორტირება 25 კმ-მდე ნაგავსაყრელზე, ტერიტორიის დასუფთავება, ნაგვისა და ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე;
- სამუშაოთა გადაცემის ტიპი: ტენდერში მონაწილე მხარეს ევალება საკუთარი მუშა ხელის, მასალებისა და მანქანა-დანადგარების-მექანიზმების მეშვეობით, ასევე დემონტაჟისათვის საჭირო ყველა მანქანა-დანადარის მეშვეობით განახორციელოს სამუშაოები. შემსრულებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს დემონტირებული ნარჩენების ტრანსპორტირება-გატანისათვის საჭირო მანქანა;

**განფასება:**

- ტენდერში მონაწილე მხარე ვალდებულია მოცემული ობიექტის მუშა ნახაზებით გათვალისწინებული სამუშაოების შესაბამისად მოახდინოს სამუშაო მოცულობის დაანგარიშება და წარმოადგინოს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. ხარჯების დარიცხვა მოხდება მეოთხე ტიპის მშენებლობის მიხედვით;
- ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული უნდა იყოს სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ასევე საზღვარგარეთ სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი;
- ტენდერში მონაწილე მხარე უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული, ლიცენზიის მქონე კომპანია;
- სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული და ბეჭედ დარტყმული ფორმით;
- ტენდერში მონაწილე მხარეებს გთხოვთ თავად განახორციელოთ ობიექტის დათვალიერება;

**სატენდერო მხარის მიერ შესასრულებელი სამუშაოები:**

- დამკვეთი შემსრულებელს მიაწოდებს ქარხნის არსებულ სურათებს და ზომებს -100.8 მ *37მ 17.5მ (აქედან ორი სექციის სიმაღლე შეადგენს 25.5 მეტრს);
- ორგანიზებას გაუკეთებს სამუშაოები განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას;

**ანგარიშსწორების წესი:**

- ავანსის გარეშე, შესრულებული სამუშაოების მოცულობის 80%-ის მიხედვით შუალედური ანგარიშსწორება, სამუშაოების დასრულების, შემოწმება-მიღების და საბოლოო დაანგარიშების შემდეგ სატენდერო მხარე ტენდერში მონაწილე მხარეს აუნაზღაურებს 100%;

**შესრულების ვადები:**

- ტენდერში მონაწილე მხარეებს გთხოვთ 2019 წლის 28 ივნისს , 12:00 სთ-მდე (საქართველოს დროით) აღნიშნულ ელ.ფოსტაზე: 1376391613@qq.com, გადმოაგზავნოთ თქვენი კითხვები, რის შემდეგაც 2019 წლის 01 ივლისს 16:00-მდე ჰუალინგის საინჟინრო განყოფილება ერთიანად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვებზე; კითხვების დროულად არ წარმოდგენის შემთხვევაში კითხვებზე პასუხი არ გაიცემა;
- სამუშაოების განხორციელების სავარაუდო ვადა: 120 დღე (კალენდარული დღე), დასვენების დღეების ჩათვლით;

**დაინტერესებულმა კანდიდატმა სატენდერო წინადადებაში უნდა მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია:**

- ხარჯთაღრიცხვა (დანართი N1). დღგ.ს ჩათვლით. (დარიცხვის გარეშე ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა არის პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველი, ხარჯთაღრიცხვა მოწოდებული უნდა იყოს თანდართული ფორმის შესაბამისად);

- სამუშაოების შესრულების ვადა, გრაფიკი;

**ტენდერში მონაწილეობისთვის დაინტერესებულმა კანდიდატებმა 2019 წლის 5 ივლისს 17:00 სთ–მდე უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტში შემდეგი საბუთები, მისამართზე: ქ.თბილისის ზღვის მიმდებარედ (ნაკვეთი 16/014)**, **სავაჭრო ცენტრის მე-5 სართული, ჰუალინგ ჯგუფის ადმინისტრაციული ოფისი.**

- პრეტენდენტის რეკვიზიტები: სრული დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი, პასუხისმგებელი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- საბანკო რეკვიზიტები (ბანკის მიერ გაცემული ბეჭდიანი ცნობის სახით);
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოს სია და მათგან არანაკლებ ორი დამკვეთი პირის რეკომენდაცია;
- ცნობა არის თუ არა კომპანია სახელმწიფო შესყიდვების მიერ გამოწვეყნებულ შავი სიაში;
- ცნობა საგადასახადო დავალიანებასთან დაკავშირებით;
- ცნობა მიმდინარეობს თუ არა გამოძიება ფინანსურ დანაშაულებათა მიმართ;
- კომპანიის დირექტორის ნასამართლეობის ცნობა;
- ორი ხარჯთაღრიცხვა ცალ-ცალკე: 1. ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი და 2. ბეტონის დემონტაჟი;
- ლითონის კონსტრუქციის ქარხნის სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელების გეგმა-ნახაზი;

მოცემულ ტენდერში მოხდება კვალიფიკაციის წინასწარი შემოწმება, რაც მდგომარეობს შემდეგში: ტენდერში მონაწილე მხარე ვალდებულია ტენდერის გამომცხადებელ მხარეს წარუდგინოს ძალაში მყოფი „სამშენებლო სამუშაოების საკვალიფიკაციო მოწმობა“, კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაცია; ასევე წარმოადგინოს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებული შესაბამისი ინჟინრების, ტექნიკური პერსონალის, სამუშაოების მწარმოებელი პირებისა და მენეჯერების სია და მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

*შენიშვნა: ცნობების მომზადებისთვის არასაკმარისი ვადის შემთხვევაში შესაძლებელია დოკუმენტაციის მოწოდება სატენდერო ვადის დასრულების შემდეგ.*

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხელმოწერილ უნდა იქნას პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ.

სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო წინადადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის შეფასების კრიტერიუმები არის შემდეგი:

–ხარისხი;
–ღირებულება;
–სამუშაოების შესრულების ვადა;
–ანალოგიურ სფეროში არსებული გამოცდილება;

სატენდერო განცხადებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველი.

**შენიშვნა:** ტენდერი ტარდება "განცხადების პრინციპით", რომელიც არ ითვალისწინებს ვაჭრობის ეტაპს. შესაბამისად, პრეტედენტ(ებ)ის მიერ სატენდერო განცხადებაში უნდა მიეთითოს მათ მიერ მოწოდებული საქონლის საბოლოო ღირებულება.
<u>წინააღმდეგ შემთხვევაში, ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტედენტი ვერ შეძლებს ტენდერის ფარგლებში დაფიქსირებული საქონლის ღირებულების შემცირებას.</u>

ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღება ან/და დაზუსტება შესაძლებელია შემდეგ საკონტაქტო პირებთან:

- გეორგია გოგია 593 64 68 64 g.gogia@hualing.ge;
- ნინო ნადარეიშვილი 599880688 n.nadareishvili@hualing.ge;
- წუო ფენ ზაო 595047555 490610399@qq.com;
- ვანგ სუენჩენი 5919096869 1617655280@qq.com;